საქართველოს კანონი
საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №804-სსმI, №40, 29.12.2008წ., მუხ.265

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

1. ამ კანონის მიზანია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქის უფლება, დატოვოს თავისი ქვეყანა და თავისუფლად დაბრუნდეს უკან, განსაზღვროს საქართველოს მოქალაქეთა საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესები და პირობები, აგრეთვე მოაწესრიგოს ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი სხვა ურთიერთობები.

2. ეს კანონი არ აწესრიგებს საქართველოს მოქალაქეთა დიპლომატიური ან სამსახურებრივი მიზნით მოგზაურობისა და შესაბამისი პასპორტების გაცემის წესს.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №804-სსმI, №40, 29.12.2008წ., მუხ.265

მუხლი 2. საქართველოს მოქალაქეთა საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

1. საქართველოს მოქალაქეთა საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებია: საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები.

2. თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველო მონაწილეობს, დადგენილია ამ კანონისაგან განსხვავებული ნორმები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულება.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №804-სსმI, №40, 29.12.2008წ., მუხ.265

მუხლი 3. საქართველოს მოქალაქის საქართველოდან მუდმივი ან დროებითი გასვლა და საქართველოში შემოსვლა

1. საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოდან ემიგრაციის, ანუ სხვა სახელმწიფოში მუდმივად საცხოვრებლად გამგზავრების (შემდგომში – ემიგრაციის), აგრეთვე საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის უფლება.

2. ეს უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი №922-პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997წ., გვ.12
საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №804-სსმI, №40, 29.12.2008წ., მუხ.265

მუხლი 4. საქართველოს მოქალაქის მიერ ქონების საზღვარგარეთ გატანის უფლება

საქართველოს მოქალაქეს, რომელიც მუდმივად ან დროებით გადის საქართველოდან, უფლება აქვს, საზღვარგარეთ გაიტანოს ნებისმიერი მოძრავი ქონება, რომელიც მას აქვს საკუთრების უფლებით ან კანონიერ საფუძველზე გადაცემულია მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში, თუ ეს აკრძალული არ არის საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №804-სსმI, №40, 29.12.2008წ., მუხ.265

თავი II

საქართველოდან დროებითი გასვლისა და საქართველოში შემოსვლისათვის საჭირო დოკუმენტები

მუხლი 5. საქართველოს მოქალაქის პასპორტი

1. საქართველოს მოქალაქე საქართველოდან დროებით გადის და საქართველოში შემოდის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცემული საქართველოს მოქალაქის პასპორტით, საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობითა და პასპორტის შემცვლელი სხვა სამგზავრო დოკუმენტებით.

2. (ამოღებულია).

3. პასპორტი საქართველოს კუთვნილებაა.

4. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად შეიძლება გაიცეს პასპორტის შემცვლელი სხვა სამგზავრო დოკუმენტი.

5. საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა გაიცემა საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქის, აგრეთვე იმ პირთა საქართველოში დაბრუნების მიზნით, რომელთა მიღების ვალდებულებაც საქართველოს ნაკისრი აქვს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

6. საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაფორმებისა და გაცემის წესს ადგენს საქართველოს კანონმდებლობა.

საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი №922-პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997წ., გვ.12
საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №190-სსმI, №19, 15.07.2004წ., მუხ.87
საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2630-სსმI, №3, 16.01.2006წ., მუხ.24
საქართველოს 2008 წლის 21 მარტის კანონი №5975-სსმI, №9, 04.04.2008წ., მუხ.62

მუხლი 6. (ამოღებულია)

საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №190-სსმI, №19, 15.07.2004წ., მუხ.87
საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2630-სსმI, №3, 16.01.2006წ., მუხ.24
საქართველოს 2008 წლის 21 მარტის კანონი №5975-სსმI, №9, 04.04.2008წ., მუხ.62

მუხლი 7. (ამოღებულია).

საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი №922-პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997წ., გვ.12
საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №190-სსმI, №19, 15.07.2004წ., მუხ.87
საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2630-სსმI, №3, 16.01.2006წ., მუხ.24
საქართველოს 2008 წლის 21 მარტის კანონი №5975-სსმI, №9, 04.04.2008წ., მუხ.62

მუხლი 8. საქართველოდან 16 წლამდე ბავშვების და ქმედუუნარო პირების დროებითი გასვლა

1. 16 წლამდე ბავშვის, აგრეთვე ქმედუუნარო პირის საქართველოდან დროებითი გასვლა შესაძლებელია მისი ერთ-ერთი კანონიერი წარმომადგენლის ნებართვით და სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირის თანხლებით.

2. 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვნის, თუ იგი არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში, საქართველოდან დროებითი გასვლისათვის საჭიროა მისი ერთ-ერთი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

3. არასრულწლოვანს, აგრეთვე ქმედუუნარო პირს, რომელსაც საზღვარგარეთ დროებით გამგზავრებისას თან არ ახლავს კანონიერი წარმომადგენლები, ამ უკანასკნელთა შუამდგომლობის საფუძველზე მიეცემა პასპორტი.

3^1. საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემისათვის ერთ-ერთი კანონიერი წარმომადგენლის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა საკმარისია, თუ:

ა) მეორე კანონიერი წარმომადგენელი იძებნება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით;

ბ) მეორე კანონიერი წარმომადგენელი გარდაცვლილი, ქმედუუნარო ან უგზო-უკვლოდ დაკარგულია;

გ) მეორე კანონიერი წარმომადგენლის მძიმე ავადმყოფობის გამო შეუძლებელია ნების გამოხატვა, რაც დასტურდება შესაბამისი ცნობით;

დ) არასრულწლოვანი 16 წელს მიღწეულია;

ე) არასრულწლოვანი მარტოხელა დედის შვილია.

4. არასრულწლოვანი ან ქმედუუნარო პირის საქართველოდან დროებითი გასვლის საკითხზე კანონიერ წარმომადგენელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №804-სსმI, №40, 29.12.2008წ., მუხ.265

მუხლი 9. საქართველოდან დროებითი გასვლისათვის პასპორტის გაცემის თაობაზე შუამდგომლობის განხილვის ვადა

საქართველოდან დროებითი გასვლისათვის პასპორტის გაცემის თაობაზე შუამდგომლობა განიხილება ყველა საჭირო საბუთის წარდგენიდან 10 დღის ვადაში, ხოლო თუ დროებითი გასვლა დაკავშირებულია მკურნალობასთან ან საქართველოს მოქალაქის საზღვარგარეთ სასამართლო პროცესში მონაწილეობასთან – 3 დღის ვადაში.

საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №190-სსმI, №19, 15.07.2004წ., მუხ.87
საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2630-სსმI, №3, 16.01.2006წ., მუხ.24

მუხლი 10. საქართველოდან დროებითი გასვლის უფლების შეზღუდვის საფუძვლები

საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოდან დროებითი გასვლისათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემაზე ან პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, აგრეთვე საზღვრის გადაკვეთაზე:

ა) თუ იძებნება სამართალდამცავი ორგანოების მიერ;

ბ) თუ წარმოადგენს ყალბ ან ძალის არმქონე საბუთებს;

გ) (ამოღებულია).

საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2630-სსმI, №3, 16.01.2006წ., მუხ.24
საქართველოს 2008 წლის 21 მარტის კანონი №5975-სსმI, №9, 04.04.2008წ., მუხ.62

მუხლი 11. (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2630-სსმI, №3, 16.01.2006წ., მუხ.24

მუხლი 12. (ამოღებულია)

საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი №922-პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997წ., გვ.12
საქართველოს 2008 წლის 21 მარტის კანონი №5975-სსმI, №9, 04.04.2008წ., მუხ.62

მუხლი 13. (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2630-სსმI, №3, 16.01.2006წ., მუხ.24
საქართველოს 2008 წლის 21 მარტის კანონი №5975-სსმI, №9, 04.04.2008წ., მუხ.62

მუხლი 14. (ამოღებულია)

საქართველოს 2008 წლის 21 მარტის კანონი №5975-სსმI, №9, 04.04.2008წ., მუხ.62

მუხლი 15. საქართველოდან გასვლისას საზღვრის გადაკვეთისათვის სავალდებულო დოკუმენტები

1. საქართველოს მოქალაქეები საქართველოდან გასვლისას საზღვრის გადაკვეთისას გადიან საპასპორტო კონტროლს და პასპორტში ან მის შემცვლელ დოკუმენტში აღინიშნება საზღვრის გადაკვეთის თარიღი.

2. საქართველოდან დროებითი გასვლისას საზღვრის გადასაკვეთად მოქალაქეს უნდა ჰქონდეს იმ სახელმწიფოში შესასვლელი ვიზა, სადაც უშუალოდ მიემგზავრება.

3. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოდან დროებითი გასვლა შესაძლებელია უვიზოდაც.

მუხლი 16. საქართველოში შემოსვლა

საქართველოს მოქალაქეს ნებისმიერ დროს უფლება აქვს შემოვიდეს საქართველოში, რისთვისაც ნებართვა არ სჭირდება.

თავი III
საქართველოდან გასვლის უფლების რეგულირების განსკუთრებული შემთხვევები

მუხლი 17. საქართველოდან გასვლის შეზღუდვა მოქალაქეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით

სხვა სახელმწიფოში საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში საქართველოს მინისტრთა კაბინეტს უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შეუზღუდოს ამ ქვეყანაში გასვლა გარკვეული ვადით. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება .ასეთი შეზღუდვის შემოღებისა და გაუქმების თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს.

საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი №922-პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997წ., გვ.12

მუხლი 18. საქართველოდან სამხედრო მოსამსახურეების გასვლა

1. საქართველოდან დროებით გასული საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც კანონის შესაბამისად ექვემდებარებიან ნამდვილი ვადიანი სამხედრო სამსახურის გავლას, გაწვევის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ ჩამოვიდნენ საქართველოში ვადიანი სამხედრო სამსახურის გასავლელად. ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები და ოფიცერთა შემადგენლობის პირები პირად საქმეებზე საქართველოდან მიემგზავრებიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული ნებართვით.

2. საქართველოში საომარი მდგომარეობის, ომის გამოცხადების ან საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში პრეზიდენტს უფლება აქვს შეზღუდოს წვევამდელთა, რეზერვისტთა და სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოდან გასვლა.

3. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ასეთ შეზღუდვათა შემოღებისა და გაუქმების თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს.

საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი №922-პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997წ., გვ.12

თავი IV
ემიგრაციის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესი

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №804-სსმI, №40, 29.12.2008წ., მუხ.265

მუხლი 19. ემიგრაციის დოკუმენტი

საქართველოს მოქალაქე ემიგრაციაში მიდის საქართველოს მოქალაქის პასპორტით. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, პასპორტის ნაცვლად შეიძლება გაიცეს მისი შემცვლელი დოკუმენტი.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №804-სსმI, №40, 29.12.2008წ., მუხ.265

მუხლი 20. შუამდგომლობა ემიგრაციის ნებართვის მისაღებად

1. ემიგრაციის ნებართვის მისაღებად შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვს საქართველოს სრულწლოვან ქმედუნარიან მოქალაქეს.

2. შუამდგომლობას დაინტერესებული პირი წარუდგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო).

2^1. ემიგრაციის ნებართვის მისაღებად შუამდგომლობა შეიძლება წარდგენილი იქნეს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით.

2^2. ემიგრაციის ნებართვის მისაღებად შუამდგომლობის წარმომადგენლის მეშვეობით აღძვრის შემთხვევაში პირისათვის წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭება შესაძლებელია დადასტურდეს ამ მუხლის 2^3–2^5 პუნქტებით დადგენილი წესით.

2^3. ელექტრონული ფორმით წარდგენილი განცხადების მიღება დასაშვებია, თუ ელექტრონული კომუნიკაცია იძლევა განმცხადებლისა და განცხადების მიღებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის საშუალებას და განმცხადებლის იდენტიფიცირება და პირადობის დადასტურება შესაძლებელია სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის გამოყენებით.

2^4. განმცხადებლის ვინაობასთან დაკავშირებით საფუძვლიანი ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში შესაბამისი თანამდებობის პირი უფლებამოსილია უარი განაცხადოს განცხადების ელექტრონული ფორმით მიღებაზე.

2^5. სააგენტო უზრუნველყოფს ვიზუალური კონტაქტის ამსახველი ჩანაწერის ელექტრონული ფორმით შენახვას.

3. შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს ყველა ის მონაცემი, რომელიც შეტანილია საქართველოს მოქალაქის პასპორტში. შუამდგომლობას უნდა ერთოდეს:

ა) საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი;

ბ) 18-დან 27 წლამდე ასაკის პირებისთვის – სამხედრო ბილეთის ასლი ან ცნობა სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების, სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან ან სამხედრო ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ;

გ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4;

დ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. არასრულწლოვანზე ემიგრაციის ნებართვის გაცემის შემთხვევაში შუამდგომლობას უნდა ერთოდეს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები, აგრეთვე დაბადების მოწმობის ასლი და ამ კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი. უცხო სახელმწიფოში გაცემული დაბადების მოწმობის ასლი წარდგენილი უნდა იქნეს სათანადო წესით ლეგალიზაციის ან აპოსტილით დამოწმების შემდეგ, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

5. არასრულწლოვანზე ან ქმედუუნარო პირზე ემიგრაციის ნებართვის გაცემა დასაშვებია მისი კანონიერი წარმომადგენლის სანოტარო წესით დამოწმებული ან ამ მუხლის 2^3–2^5 პუნქტებით დადგენილი წესით გამოხატული თანხმობით.

6. შუამდგომლობისა და თანდართული დოკუმენტების ელექტრონული ფორმით წარდგენის შემდეგ დაინტერესებული პირი უზრუნველყოფს ამ კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტის, აგრეთვე უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული დაბადების მოწმობის ასლის და სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების, სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან ან სამხედრო ვალდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ ცნობის მატერიალური ფორმით წარდგენას.

7. უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული დაბადების მოწმობის ასლი შეიძლება მიღებულ იქნეს დედნის ელექტრონული ფორმით წარდგენის გარეშე, თუ შესაძლებელია ამ დოკუმენტის ლეგალიზაციის ან აპოსტილით

დამოწმების ფაქტის ნამდვილობის შემოწმება შესაბამისი ელექტრონული რეესტრის ან სხვა საშუალებით.

8. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში შუამდგომლობის განხილვის ვადის ამოწურვამდე 5 დღით ადრე სააგენტო დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს დოკუმენტების წარდგენის ვადას, რომელიც არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები. დოკუმენტების წარდგენამდე შუამდგომლობის განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

9. განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების მატერიალური ფორმით წარუდგენლობის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის განუხილველად დატოვების შესახებ.

10. თუ განმცხადებელი აღარ არის დაინტერესებული ემიგრაციის ნებართვის მიღებით, იგი უფლებამოსილია ადმინისტრაციული წარმოების ნებისმიერ სტადიაზე მიმართოს სააგენტოს და მოითხოვოს წარმოების შეწყვეტა.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №804-სსმI, №40, 29.12.2008წ., მუხ.265
საქართველოს 2009 წლის 11 ივლისის კანონი №1389-სსმI, №21, 03.08.2009წ., მუხ.107
საქართველოს 2009 წლის 15 დეკემბრის კანონი №2320-სსმI, №46, 22.12.2009წ., მუხ.352
საქართველოს 2010 წლის 6 ივლისის კანონი №3356-სსმI, №41, 21.07.2010წ., მუხ.256
საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის კანონი №4050-სსმI, №76, 29.12.2010წ., მუხ.494
საქართველოს 2011 წლის 24 ივნისის კანონი №4938 - ვებგვერდი, 14.07.2011წ.
საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6317 - ვებგვერდი, 19.06.2012წ.

მუხლი 21. ემიგრაციის ნებართვის გასაცემად შუამდგომლობის განხილვა

1. ემიგრაციის ნებართვის გასაცემად შუამდგომლობა განიხილება საჭირო დოკუმენტაციის წარდგენიდან 1 თვის ვადაში.

2. ამ კანონით დადგენილი წესით სააგენტო გასცემს ემიგრაციის ნებართვას და საქართველოს მოქალაქის პასპორტში სვამს შტამპს აღნიშვნით „მუდმივი გასვლა“, ნებართვის გაცემის თარიღის მითითებით, რაც დასტურდება სააგენტოს ბეჭდითა და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

3. (ამოღებულია – 24.06.2011, №4938).

4. ემიგრანტის მიერ საქართველოს მოქალაქის პასპორტის გამოცვლის შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია, ემიგრანტის მიერ ემიგრაციის ნებართვისა და შუამდგომლობის წარდგენიდან 10 დღის ვადაში გამოსცეს შესაბამისი აქტი და ახალ პასპორტზე გადაიტანოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შტამპი სათანადო აღნიშვნით.

5. ემიგრაციის ნებართვის გაცემის საკითხთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დროს მიღებული გადაწყვეტილებები დაინტერესებულ მხარეებს ეცნობებათ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №804-სსმI, №40, 29.12.2008წ., მუხ.265
საქართველოს 2011 წლის 24 ივნისის კანონი №4938 - ვებგვერდი, 14.07.2011წ.

მუხლი 22. ემიგრაციის ნებართვის გაცემაზე უარის საფუძვლები

1. დაინტერესებულ პირს შეიძლება უარი ეთქვას ემიგრაციის ნებართვის გაცემაზე, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე, თუ:

ა) მის მიმართ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა;

ბ) მას არ მოუხდია სასამართლო განაჩენით შეფარდებული სასჯელი;

გ) იგი წვევამდელი ასაკისაა და არ მოუხდია სავალდებულო სამხედრო სამსახური, თუ კანონით დადგენილი წესით გათავისუფლებული არ არის ამ ვალდებულებისგან;

დ) სამუშაოს ხასიათის გამო მისთვის ცნობილია სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოებანი და არ გასულა კანონით დადგენილი ვადა, რომლიდანაც იგი დაკავშირებული არ არის ამ სამუშაოსთან. ამასთანავე, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს;

ე) ემიგრაციის ნებართვის მისაღებად შუამდგომლობის აღძვრისას წარმოადგენს ყალბ საბუთებს.

2. დაინტერესებული პირის შუამდგომლობის მიღებიდან 2 დღის ვადაში სააგენტო ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გარემოებების არსებობის თაობაზე მიმართავს სახელმწიფო ორგანოებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც ვალდებული არიან, მიმართვის მიღებიდან 5 დღის ვადაში წარუდგინონ სააგენტოს შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები. თუ აღნიშნული ვადა საკმარისი არ არის საჭირო ინფორმაციის ან დოკუმენტების წარსადგენად, სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან, ამის თაობაზე წერილობით აცნობონ სააგენტოს, რის შემდეგაც მათ მიეცემათ 2-დღიანი დამატებითი ვადა.

3. სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ ვადებში სააგენტოსათვის შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია დაასრულოს საკითხის განხილვა კანონით განსაზღვრულ ვადაში.

4. გადაწყვეტილება ემიგრაციის ნებართვის გაცემაზე უარის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მოქალაქეს წერილობითი ფორმით.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №804-სსმI, №40, 29.12.2008წ., მუხ.265

მუხლი 22[1]. ემიგრაციის ნებართვის გაუქმება

ემიგრაციის ნებართვა შეიძლება გაუქმდეს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ან სააგენტოს ინიციატივით – თუ გამოვლინდა დაინტერესებული პირის მიერ ემიგრაციის ნებართვის მისაღებად ყალბი დოკუმენტების წარდგენის ფაქტი.

საქართველოს 2010 წლის 6 ივლისის კანონი №3356-სსმI, №41, 21.07.2010წ., მუხ.256

მუხლი 23. არასრულწლოვნის ემიგრაცია

1. 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი ემიგრაციაში მიდის თავის კანონიერ წარმომადგენელთან ერთად, ხოლო თუ იგი მიემგზავრება უცხოეთში მყოფ თავის კანონიერ წარმომადგენელთან და აქვს ამ უკანასკნელის თანხმობა – სრულწლოვან ქმედუნარიან თანმხლებ პირთან ერთად.

2. თუ არასრულწლოვნის ემიგრაციის საკითხზე მისი კანონიერი წარმომადგენლები ვერ შეთანხმდებიან, დავა გადაწყდება სასამართლო წესით.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №804-სსმI, №40, 29.12.2008წ., მუხ.265

მუხლი 24. ქმედუუნარო პირის ემიგრაცია

დაუშვებელია ქმედუუნარო პირის ემიგრაცია მისი კანონიერი წარმომადგენლის ნებართვისა და სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირის თანხლების გარეშე.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №804-სსმI, №40, 29.12.2008წ., მუხ.265

მუხლი 25. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისათვის სავალდებულო დოკუმენტები

1. საქართველოს მოქალაქეები საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას ავსებენ მიგრანტის ბარათს და გადიან საპასპორტო კონტროლს. პასპორტში ან მის შემცვლელ დოკუმენტში აღინიშნება საზღვრის გადაკვეთის თარიღი.

2. სახელმწიფო საზღვრის გადასაკვეთად საქართველოს მოქალაქეს უნდა ჰქონდეს იმ სახელმწიფოში შესასვლელი ვიზა, რომელშიც მიემგზავრება.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №804-სსმI, №40, 29.12.2008წ., მუხ.265

მუხლი 26. ემიგრაციის ნებართვის გაცემაზე ან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე უარის გასაჩივრება

დაინტერესებულ პირს, რომელსაც უარი ეთქვა ემიგრაციის ნებართვის გაცემაზე ან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე, უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №804-სსმI, №40, 29.12.2008წ., მუხ.265

მუხლი 27. ემიგრაციის სტატისტიკა

ემიგრაციის სტატისტიკას აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №804-სსმI, №40, 29.12.2008წ., მუხ.265

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
სახელმწიფოს მეთაური *ედუარდ შევარდნაძე.*
საქართველოს პარლამენტის სპიკერი *ვახტანგ გოგუაძე.*

თბილისი, 1993 წლის 7 დეკემბერი.
№354

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი №922-პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997წ., გვ.12
2. საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №190-სსმI, №19, 15.07.2004წ., მუხ.87
3. საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2630-სსმI, №3, 16.01.2006წ., მუხ.24
4. საქართველოს 2008 წლის 21 მარტის კანონი №5975-სსმI, №9, 04.04.2008წ., მუხ.62
5. საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №804-სსმI, №40, 29.12.2008წ., მუხ.265
6. საქართველოს 2009 წლის 11 ივლისის კანონი №1389-სსმI, №21, 03.08.2009წ., მუხ.107
7. საქართველოს 2009 წლის 15 დეკემბრის კანონი №2320-სსმI, №46, 22.12.2009წ., მუხ.352
8. საქართველოს 2010 წლის 6 ივლისის კანონი №3356-სსმI, №41, 21.07.2010წ., მუხ.256
9. საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის კანონი №4050-სსმI, №76, 29.12.2010წ., მუხ.494
10. საქართველოს 2011 წლის 24 ივნისის კანონი №4938 - ვებგვერდი, 14.07.2011წ.
11. საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6317 - ვებგვერდი, 19.06.2012წ.